ვაკანსიის № 98537

თანამდებობის დასახელება	მესამე რანგი - საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
პოზიციის დასახელება	ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
კატეგორია	ეკონომიკური
განცხადების ბოლო ვადა	12.04.2026
თანამდებობრივი სარგო	2400 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	ზუგდიდი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

ფუნქციები

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ რესურსებზე ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების (სასარგებლო წიაღისეული) სალიცენზიო და არსებული ლიცენზირებული ობიექტების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა/განახლება და ა. შ;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კორპუსები) მობინადრეების მიერ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაცია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მონაცემთა ბაზის განახლება;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ შემოტანილი პროექტების, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსება-განხორციელებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციების მომზადება და ა. შ;
- მუნიციპალურ სერვისების საკითხებთან დაკავშირებით სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წერილებზე რეაგირება. ასევე, მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება (შუამდგომლობები: წყალმომარაგების, ელ. მომარაგების, გაზმომარაგების, კავშირგაბმულობის და ა.შ. კომპანიებთან);
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული და მუნიციპალური პროგრამით განხორციელებული ინფრასტრუქტურული ობიექტების გამართული ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ორგანიზაციებიდან (წყალმომარაგების, ელ. მომარაგების, გაზმომარაგების კომპანიები) მათი მომსახურების შესყიდვის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციების მომზადება-გადაგზავნა;
- საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე სამსახურის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი

საკონკურსო თემატიკა

საქართველოს კონსტიტუცია;საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“;საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“; საქართველოს კანონი „ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ“;ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 აგვისტოს დადგენილება N79 „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“;საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;„ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივლისის 21 დადგენილება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	**ცოდნის დონე**
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ.90
საკონტაქტო ტელეფონები	591223122
საკონტაქტო პირი	ირაკლი ამანათიძე

დამატებითი მოთხოვნები

მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება ეკონომიკურ, გარემოს დაცვის ან/და მუნიციპალური სერვისების მართვის სფეროში.

პიროვნული მახასიათებლები:
• დროის ეფექტური მართვა;
• შეხვედრებისა და მოლაპარაკების წარმოების უნარი;
• ეფექტური კომუნიკაციის (ზეპირი, წერითი) უნარი;
• პასუხისმგებლობა;
• კომუნიკაბელურობა;
• კოლეგიურობა;
• დეტალებზე ორიენტირებულობა;
• ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა განაცხადი უნდა ატვირთოს ელექტრონული ფორმით მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.vacancy.hr.gov.ge) მეშვეობით.
- „ჩემი რეზიუმე“-ს შესაბამის ბლოკში კონკურსანტმა სავალდებულოა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:

- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო უცხო ენაზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) არსებობის შემთხვევაში, ასევე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ოფიციალური/სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტი დაკავებული თანამდებობ(ებ)ის, მუშაობის პერიოდ(ებ)ის - სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღების - ფუნქცია-მოვალეობების მითითებით, სრული და კითხვადი ჩანაწერ(ებ)ი). ატვირთული უნდა იყოს, სულ მცირე, დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი საბუთ(ებ)ი.
- სტაჟირების შემთხვევაში აუცილებელია, დოკუმენტში ჩანდეს, იყო თუ არა საქმიანობა ანაზღაურებადი.

• აუცილებელია, კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის გრაფა;
• ყოველ მომდევნო ეტაპზე მონაწილეობისთვის აუცილებელია, კანდიდატი აკმაყოფილებდეს წინა ეტაპისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს;
• კონკურსის მეორე (კანდიდატის შეფასების) ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დოკუმენტები უნდა იყოს უტყუარი, სრულყოფილი და შეესაბამებოდეს განაცხადით დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებს;
• ზეპირ დავალებაზე და გასაუბრებაზე კანდიდატის შეფასება ხდება, როგორც სამართლებრივ, ასევე პროფესიულ (ზეპირი დავალების ფორმით), მოტივაციასთან დაკავშირებულ და საქმიანი უნარების დამდგენ კითხვებზე გაცემული პასუხების შესაბამისად ქულათა სისტემით;

მოცემულ კონკურსზე რეზიუმეს გამოგზავნით კანდიდატი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება ვაკანსიის განაცხადში მოცემულ ფუნქციებსა და პირობებს. ასევე, ის თანახმაა, მის რეზიუმეში მოცემული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემის მასშტაბით, კონკურსის მიზნებისთვის.

- კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი მითითებული დოკუმენტაცია.
- მოხელის სტატუსის არმქონე პირი მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება გამოსაცდელი ვადით. მოხელის გამოსაცდელი ვადაა 12 თვე.
- საკონკურსო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური

თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
- საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის საბოლოო შეფასება ეფუძნება მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების, ზეპირი დავალებისა და გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას.
- საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება ხორციელდება ქულათა სისტემით, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი მისი შედგენიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა წარედგინება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს.
- კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კანდიდატს ეცნობება მის მიერ აპლიკაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

• კომისია გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე.

• კომისია ვალდებულია საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება